ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

პარასკევი
30 ოქტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 210 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 210

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლება სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობითა, მიჩნევენ ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ბესარიონ ვასილის ძე გვახარია, შვილები: ნინო ოკუჯავასი, თამარი, ნიკოლოზი და გიორგი ბესარიონის ასული და ძენი გვახარიები, სიძე ნიკოლოზ სტეფანეს ძე ოკუჯავა, მაზლები: დავითი და პავლე ვასილის ძენი გვახარიები მეუღლეებითა და შვილებით, ძმა ალექსანდრე სპირიდონის ძე გაბუნია და და ადალო გეგეჭკორისა, ძმის შვილი იოსებ დიმიტრის ძე გაბუნია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს გადაცვალებას

ზესნა (იგივე ესმას) სპირიდონ გაბუნიას ასულის

გვახარიასი.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 1 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ცხედრისა გოსპიტლის ქუჩაზე საკუთარ სახლიდან. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. 4—1—5013

კონსტანტინე იოსების ძე და მინადორა სიმონის ასული ნიჟარაძეები, შვილები: ლენა, მარო, ოლღა, კოლია მალიკო და გრიშა, ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, პირველ ნოემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ჩვენი შვილის, თათრებთან ომში დაღუპულ პრაპორშჩიკის

იოსიკას (იოსების)

სულის მოსახსენებლათ.

ქ. ქუთაისში

1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. კვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში, გაიხსნება **როიალზე სწავლების კლასი.** სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს.

ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო.

ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

დაიბეჭდა და **იყიდება** ქუთაისში მთავრიშვილის და ამხ. და თბილისში სერ. კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში **სამსონ დათეშიძის** მიერ შედგენილი

„სახატავი ნიმუშები და ქართული დედანი“,

ფასი 25 კაპ. მე-4-ე გამოცემა. ეს გამოცემა საკუთრებად შეძენილია მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან. 10—4

საშუალო სასწავლებლის უფროს კლასებისათვის, უმაღლეს დაწყებითი 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ამზადებს მოწაფეებს**, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, ზარიკამახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი **ვ. დ. ნახარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ლექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძის** ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განსაკუთრებით კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პორფილს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძისსახლი. თ

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 29 ოქტომბერს; შაბათს, 31 ოქტომბერს და კვირას, 1 ნოემბერს მხოლოდ სამი დღით ახალი საუცხოვო პროგრამა.

მილიონების გიპნოზის გავლენის ქვეშ.

13—14 სერია 4 ნაწილ.

ეჭვიანობა.

ძლიერი კომიკური სურათი.

ანონსი: პარასკევს, 30 ოქტომბერს, საქველმოქმედო სეანსები ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

მზადდება ორშაბათისთვის საჩვენებლათ **მოციქული შავი ტაძრისა.** დრამა 6 ნ.

ქალაქი ქუთაისი. **ქალაქის თეატრი.**

პარასკევს, 30 ოქტომბერს, 1915 წელს გაიმართება

კონცერტი

[illegible]

ნიკ. ჩიგიანისა (ტენორი).

მონაწილეობენ: თბილისის სახაზინო თეატრის მსახიობები

ს. ი. გულკა და გამოჩენილი ვიოლონჩელისტი ქ. კოპელნიცკი.

როიალზე დაუკრავს ქ-ნი **ნემეტი.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

კვირას, 1 ნოემბერს, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში,

დილის ათ საათზე დანიშნულია ქუთ. მომხმარებელი საზოგადოების

„კოოპერატივის“ გამგეობის

და საუბნო კომისიის წევრების შეერთებული კრება. სთხოვენ ყველას აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას, რადგანაც ეს კრება უკანასკნელია მომავალ საზოგადო კრებამდის. უფ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თვ. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **პიონ სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირას გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი
მ. მხელაძე—ზალიცკისა

ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 სთ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამ.: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 28 ოქტ. ოფიც. დასავლეთის ფრონტი. შლოკის რაიონში მდინარის მარცხენა ნაპირზე (კურლ) ჩვენ გავმაგრდით და დავიკავეთ ოდინგი. იაკობშტადტის რაიონში და დვინსკიდან დასავლეთით ბრძოლა ისეთი მწვავე ხასიათისა არ იყო, როგორც წინა დღეს. სამხრეთით პრიპიატამდე მდებარე რაიონში მდგომარეობა უცვლელია. დ. კოლკის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში გაცხარებული ბრძოლა გრძელდება. გუტა-ლისოვსკაიას მხრიდან მტრისგან მოტანილი იერიშები ყველა მოვიგერიეთ. სოფ. ბუდკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის უკან დევნის დროს ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტრის ბანაკი და დაიკავა როგორც ეს სოფელი, ისე სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარე ტყე. შუადღისას ჩვენ ჩავიგდეთ ხელში 50 ოფიცერი, 2000 მეტი ჯარისკაცი და 20 ტყვიის მტყორცნელი. გარდა ამისა, მტრის დიდი რიცხვი მდ. ჩურტესკაში დაიხრჩო. ეს წარმატებითი გამარჯვება ჩვენმა ჯარმა მოიპოვა არტილერიის დახმარებით მდ. ოკონკის რაიონში ჩვენი ჯარის ნაწილებმა იერიშით აიღეს მოპირდაპირის თხრილების ნაწილი.

ზალეშჩიკის რაიონში ავსტრიელებმა ორჯერ მოიტანეს იერიში ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ იერიში მოგერიებულ იქნა.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. 28 ოქტ. დღის ოფიც. ცნობა. გერმანელები არტუაში შეეცადნენ იერიშის მოტანას ჩვენს წინააღმდეგ, გააძლიერეს რა წინასწარ საარტილერიო სროლა. ტაჰიურის აღმოსავლეთით, არგონის აღმოსავლეთ ნაწილში, ვოკუასთან და მელენკურთან ღამის განმავლობაში გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით.

ცეტინიე. 26 ოქტ. მთაწმინდის პრესს ბიურო იტყობინება, რომ მთელს ფრონტზე გაძლიერებული საარტილერიო ბრძოლაა და მტრის ქვეითა ჯარის მიერ მოტანილი იერიშები ჩვენის ჯარის წინააღმდეგ სოლდუკთან მოგერიებულ იქნა.

რომი. 27 ოქტომბერი. მთავარი ბინის ცნობა. ტრენტინოს საზღვრის გასწვრივ და მეორე მხრით თანდათან ძლიერდება საარტილერიო ბრძოლა. კორდევოლკოს ზემო ნაწილში 26 ოქტომბრის ღამის განმავლობაში მტერი მრავალრიცხოვანი ძალით კვლავ შეეცადა კოლდილანოს ჩრდილოეთით კონცხის დაკავებას, მაგრამ ჩვენ მედგარი ბრძოლის შემდეგ მტერი გავფანტეთ და 1426 მეტ. სიმ. სიფას კონცხი დავიკავეთ. კარნში, მიუხედავათ მტრის არტილერიის ძლიერი ცეცხლისა, ჩვენმა არტილერიამ გაფანტა მტრის ჯარი კოლდეგაილის ხეობაში და ლუდინის მთების ფერდობთან მძლავრათ დაუშინა ყუმბარები სადგურ საიფნიცს და ფელლის ხეობაში შესავალს. გორიცის დასავლეთით კონცხთან მტერმა ჯერ საარტილერიო სროლა გააჩაღა და შემდეგ ქვეითა ჯარმა იერიში მოიტანა ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ, მაგრამ იერიშები მოგერიებულ

იქნა, დასტოვეს რა სტრატეგიული ადგილი.

26 ოქტომბერს, ღამით, ერთი ჩვენი დირიჟაბლი გაემართა იზონცოს ხაზისკენ, დაათვალიერა მტრის ბანაკი და, მიუხედავათ მოპირდაპირის არტილერიის სროლისა, უზიანოთ დაბრუნდა.

რომი. 26 ოქტ. მთავარი ბინის ცნობა: დონის ქალაში ჩვენმა მზვერავმა რაზმმა იერიში მიიტანა მტრის ჯარის ნაწილზე და გაფანტა. მურადინის ხიდთან კორდევოლეს ველებში ჩვენი შეტევა წარმატებით დასრულდა. ადგილ მდებარეობის ცუდი პირობები, ნადგური ზამთარი და აგრეთვე მტრის თავდასაცავ სიმაგრეებმა ხელი ვერ შეუშალეს ჩვენი ჯარის შეტევას და დღე-ღამის განმავლობაში საარტილერიო სროლის შემდეგ ქვეითა ჯარმა იერიშით აიღო მოპირდაპირის გამაგრებული პოზიციები და ალპართა თავისი დროშა მოხვეულ მთაზე, რომელსაც 2464 მეტრის სიმაღლე აქვს ზღვის პირიდან, წამოიყვანა რა ტყვეთ 100 კაცის მეტი, მათ რიცხვში 4 ოფიცერი, რომელნიც ეკუთვნოდენ სამეფო ჯარის მსროლელთა მესამე პოლკს. ამასთანავე ხელში ჩავიგდეთ ბევრი სამხედრო დავლა. იზონცოს ფრონტზე ჩვენი არტილერია განაგრძობდა მოქმედებას წარმატებით, რომლის დახმარებითაც ჩვენმა ქვეითა ჯარმა მამაცური იერიშები მიიტანა მტრის პოზიციების წინააღმდეგ, რომლის დროსაც რამდენიმე ტყვე წამოიყვანა, ორი ყუმბარის მტყორცნელი, ერთი ტყვიის მფრქვეველი და ბევრი სამხედრო დავლა.

პარიზი. 27 ოქტ. დღის ოფიციალური ცნობა. ლოოსის რაიონში თოფით სროლა გძელდება. ამ პუნქტის სამხრეთით სადარაჯო რაზმთა შეტაკება ხდებოდა. ბევრენის სეკტორსა და შამპანში მოპირდაპირემ საარტილერიო ბრძოლა გააჩაღა. ჩვენი არტილერია მარჯვეთ უპასუხებდა. დანარჩენ ფრონტზე დღემ წყნარათ გაიარა.

ცეტინიე. 25 ოქტ. პრესს ბიურო იტყობინება, რომ მთელს ფრონტზე სერიოზული საარტილერიო ბრძოლა იყო სხვა და სხვა პუნქტზე. მტერს აგრეთვე მოქონდა უნაყოფო იერიშები.

პარიზი. 27 ოქტ. ღამის ოფიციალური ცნობა. ფრონტის უმრავლეს ადგილებში საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა, განსაკუთრებით ტუვროკის უღელტეხილში, სადაც ჩვენ მოხერხებულათ დავუშინეთ არტილერიის ცეცხლი მტრის საველე სიმაგრეებს. ასეთივე საარტილერიო სროლა იყო შამპანში, სადაც სროლამ მწვავე ხასიათი მიიღო ტაგიურის რაიონში. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მტრის ბლოკგაუზი გავანადგურეთ.

გავრი. 27 ოქტ. ღამემ წყნარათ გაიარა. დღეს მტერმა ზარბაზნები დაუშინა ფორმამსკაპელს, ვერვიზს, როოსდამს და კეეკკერკეს. გარდა ამისა, რამდენიმე ყუმბარა ესროლა ჩვენს მოწინავე პოზიციებს და ჩვენი ფრონტის სხვა და სხვა პუნქტებს.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ბალკანეთი.

ბულგარეთის უკანასკნელი ცნობით, ტოდოროვის ჯარი, რომელმაც ვრანიე დაიკავა, წინ მიიწევს ჩრდილო—აღმოსავლეთით და იმყოფება 20 კილომეტრის მანძილზე პრიშტინიდან. ამოპერაციის მოყვება ავსტრიის ჯარის შეერთება, რომელიც ვიშეგრადიდან მოიწევს წინ. ამით სურთ ხელი შეუშალონ სერბიელებს მთაშავეთის საზღვრისაკენ უკან დახევის დროს. ამავე დროს გერმანელებმა, წაიწიეს რა ჩრდილოეთით, დაიკავეს კრაგუევაცი. ავსტრო-გერმანელებმა დაიკავეს კოლუნი და მორავე, სადაც უკანასკნელ დღეებში სერბიელები თავგანწირვით იბრძოდენ.

ნიშზე დახაშენით მიტანილი სხვილი კალიბრის ზარბაზნები ავსტრიელებმა პიროტში გადაიტანეს.

სალონიკში ბევრი გადახვეწილი მივიდა. მათი მდგომარეობა კალმით აუწერელია.

„ეპოკა" ამტკიცებს, რომ გერმანელებმა სხვილი კალიბრის ზარბაზნები კლადოვაში დასდგეს. დუნაის მარწვრივ ბიტონის თხრილებსა და ბიტონის სიმაგრეებს აკეთებენ ზარბაზნების დასადგმელათ. კოპენჰაგენიდან „რეჩ"-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ სალონიკში სერბიის ხაზინა და სახელმწიფო დოკუმენტები გადაიტანესო, ტრანსპორტს საბერძნეთის ჯარის კაცები აცილებდენ.

სახალხო განათლების სამინისტრო იხილავს კანონპროექტს საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ.

საშუალო და დაბალი სკოლების ბიურომ სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენლის ანციფეროვის თავჯდომარეობით შემდეგი დადგენილება მიიღო: [illegible] წლამდე უზრუნველ ყოფილი უნდა იყოს პირველ დაწყებით სასწავლებლებში სწავლით.

პირველ დაწყებით სასწავლებლებში მიიღებიან ყველანი განურჩევლათ წოდებისა და სარწმუნოებისა.

ათინიდან ცნობაა, რომ სერბიის სატახტო ქალაქათ მიტროვიცი აირჩიეს სადაც გადავიდა სერბიის მთავრობა და დიპლომატიური კორპუსი.

რომიდან ცნობაა, საბერძნეთის სამინისტროს კრიზისის გამო, აქ იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ კრიზისი გადაწყდება პალატის დათხოვნით.

გერმანეთი და საბერძნეთი.

პარიზიდან იტყობინებიან, რომ სოფიაში მივიდა გერმანეთის სამხედრო მოხელე პოლკოვნიკი ფალკენგეიმი; ყოფილ კანცლერის ბიულოვის შვილისა და რამდენიმე ოფიცრის თანხლებით ისინი მიემგზავრებიან ათინაში, სადაც მეფე კონსტანტინე მიიღებს. ამ საიდუმლო მისიას შეუძლია ნათელი მოჰფინოს ბულგარეთის ერთერთი მინისტრის განცხადებამ „ნეიე ფრეიე პრესსეს" კორესპონდენტთან საუბრის დროს: „ჩვენ გადავსწყვიტეთ, უთქვამს მინისტრს, რომ საბერძნეთს განსაზღვრული პირობით მივაწოდოთ პური. ეს იქნება გარეგნული გამოხატულება იმ მეგობრობისა, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს საბერძნეთთან ძლიერ ახლო მომავალში ჩვენ მოველით საბერძნეთიდან ახალ ამბებს, რომელიც გამოიწვევს დიდ აღფრთოვანებას ყოველ ბულგარეთში.

ბალკანეთის მდგომარეობა.

ამ ჟამათ ბალკანეთის მდგომარეობას ორი გარემოება ახასიათებს: პირველი ის, რომ დაიწყო ალბანელების აჯანყება სერბიელების წინააღმდეგ, რომ აჯანყებასაც დიდი ხანი ცდილობდენ ავსტრიელი მღვდლები ალბანეთში და ბულგარეთის კონსული პავლოვი დურაცოში, რომელთაც ეხმარებოდენ მაკედონიის კომიტადჟები. მეორე ფაქტი—ბულგარეთის ჯარის წაყვანა რუმინეთის საზღვრიდან. ეს უკანასკნელი ფაქტი მოხდა მას შემდეგ, რაც ბულგარეთის ფინანსთა მინისტრმა ტონჩევმა სიტყვა წარმოსთქვა სოფიაში გერმანული გაზეთების კორესპონდენტებთან, რომ რუმინეთის მხრით ბულგარეთი უზრუნველყოფილიაო. ეს გარემოება კი ახასიათებს იმას, თუ რამდენი ღირებულობა ქონდა ოთხთა შეთანხმების ბუქარესტელ მოამბეების განცხადებებს.

ოსმალეთი.

„ჟურნალ დეს ბალკანი" იტყობინება, რომ იმის შემდეგ, რაც ოსმალეთის გარეშე საქმეთა ახალმა მინისტრმა ხალილბეიმ განაცხადა პალატაში თავის დანიშვნის შესახებ, აბმედ-რიზა ბეიმ (ოსმალეთის პარლამენტის ყოფილ წევრი და ახალ-გაზდა ოსმალთა კომიტეტის დამაარსებელი) უთხრა მას: „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენ ჩვენგან სინამდვილეს არ დამალავთ, როგორც ამას სჩადიოდა თქვენი მოადგილე—თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ოსმალეთი სამხედრო და ფინანსიური მხრით დაღუპულია და ყოველი მხრიდან ემუქრებიან მას მტრებიო". ამ სიტყვების შემდეგ ზოგიერთი სენატორი მივარდა აბმედ რიზას, ზოგიც მას ეხმარებოდა. მოხდა შეტაკება. სხდომის გათავების შემდეგ აბმედ რიზა დააპატიმრეს და ციხეში გაგზავნეს ენვერ-ფაშის ბრძანებით. მას ემუქრებოდენ მცირე აზიაში გადასახლებით, მაგრამ ტახტის მემკვიდრის იუსუფ იზედდინ ეფენდის საქმეში ჩარევით იგი გაათავისუფლეს.

რადოსლავოვის განცხადება.

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ რადოსლავოვმა „ბერლინერ ტაგებლატის" კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა:

„ჩვენ ზედმეტი მისწრაფებისაგან შორსა ვსდგევართ და არც შევსწირავთ ჩვენი ქვეყნის მომავალს რამდენიმე ქალაქის გულისთვის

სიტყვა „ბალკანეთის კავშირი" შესამჩნევთ სახელგატეხილია, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, თუ ევროპის ცენტრალური სახელმწიფოები მოისურვებენ ბულგარეთისა და საბერძნეთის მკვიდრ შეთანხმებას, ჩვენ დიდი თანაგრძნობით მოვეპყრობოდითო"

სპარსეთის ნეიტრალიტეტი.

ვიდრე ჩვენ იმის ფიქრში ვიყავით, თუ როგორ შეგვერცხვინა და გაგვეწბილებინა ირანის ორპირი მთავრობაო—სწერს „ბირჟ. ვედომოსტი" სპარსეთში გერმანელების მოქმედება სდუღდა და გადმოდიოდაო.

სამხედრო იარაღით დატვირთული ურემი ურემს მისდევდა. დაბა-სოფლად აგროვებდენ მეომრებს. გერმანიის ინსტრუქტორები დაუფარავად ამზადებდენ ჯარში ახლად გაწვეულებს. მოზარდებსაც-კი ვითომ და გასართობათ ასწავლეს გერმანულ თოფების ხმარება. გერმანიის ელჩმა პრინცმა რეისმა თან სპარსეთში მოიტანა აუარებელი ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველი და ჯავშნოსანი ავტომობილი. ვილჰელმის ეს ერთგული წარმომადგენელი ხშირად მართავდა თავის სახლში საორგანიზაციო სხდომებს გერმანეთ—სპარსეთის მომავალ კორპუსის შესაქმნელათ. სულ ცოტა ხნის განმავლობაში პრინცმა რეისმა და მისმა თანამშრომლებმა შეადგინეს ცხენოსანთა საკმაო ძლიერი რაზმი. დაიწყო პარტიზანული მკვლელობა რუსეთისა და ინგლისის საკონსულოთა აგენტებისა. და მხოლოდ მაშინ ჩვენმა და ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო ზომები.

ქართული პრესა.

ვინ იცის ახლა, აი ამ წუთში, როდესაც ამ სტრიქონებსა ვწერ,—„სანფარების" სიტყვახანაში, რომელსაც გაზეთ „მეგობრის" რედაქცია ჰქვია, იქნება უკვე დამზადებულიც არის პასუხი, იმის ახსნელათ თუ რას ნიშნავს „**ნაციონალური სოციალიზმი**", რომელიც ასე მოულოდნელად გამო[illegible] ჩვენებურმა ესფერებმა, მაგრამ ვიდრე ამ პასუხს გამოაქვეყნებდე[illegible] არ მოვიყვანოთ ბ-ნ [illegible] **ციონალურ სოციალიზმის**" შესახებ, ვინაიდან ცოტა არ იყოს ჩვენც ეჭვი გვეპარება ასეთ „ახალ მოვლენის" არსებობაზე. აი რას აზბობს ბ ნი ანი: („თანამედ. აზრი" 195).

„რას ნიშნავს ეს ნაციონალური სოციალიზმი? სხვა ქვეყნებში ამგვარი სოციალიზმი არსად არ მოიძებნება; მართალია, გერმანიაში ლუდელ ნაუმანმა მოინდომა რაღაც ამგვარი სექტის დაარსება სოციალ-დემოკრატიასთან საბრძოლველათ, როგორც წინეთ მეორე ლუდერმა შტოკერმა ამავე მიზნით დააარსა ქრისტიანულ-სოციალისტური პარტია, მარა ორივე სასტიკათ დამარცხდენ. შეურიგებელის შერიგება ვერ შესძლეს. ნაციონალურ სოციალიზმთან სოციალისტური ნაციონალიზმი ისეთი შეუსაბამო შერევაა, ისეთი ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ცნებათა შეკოწიწებაა, რომ არსად მას ხორცი არ შეუსხამს და ნაყოფი არ გამოუღია. რატომ? იმიტომ, რომ არ შეიძლება იყოს სოციალიზმი ნაციონალური, ნაციონალიზმი სოციალისტური. ვინაიდან ისინი ერთი მეორეს ძირიანათ უარს ყოფენ, ისე როგორც წყალი და ცეცხლი, სინათლე და სიბნელე.

ნაციონალიზმი ერთგვარი პოლიტიკური მიმართულებაა, სოციალიზმი კი მეორე გვარი. პირველის მიზანია ნაციონალური კითხვის გადაჭრა და რადგანაც ეს კითხვა ყველა კლასს ეხება—ამითი ერთ პარტიაში შეერთება და მთავარი მიზნისაკენ მიმართვა ნაციონალიზმის ბრძოლის საშუალებაა. სოციალიზმის მიზანია სოციალური კითხვის გადაჭრა და რადგანაც ეს კითხვა დაჩაგრულ კლასებს ეხება—ამათი შეერთება და მთავარი მიზნისაკენ მიმართვა სოციალისტური პარტიის ბრძოლის საშუალებაა.

მაშასადამე,

ნაციონალიზმი მიმართულია გარეშე ძალის წინააღმდეგ და აგებულია კლასთა შეერთებაზე.

სოციალიზმი მიმართულია შინაგანი ძალის წინააღმდეგ და აგებულია კლასთა განხეთქილებაზე."

როცა „მეგობარი" წინააღმდეგს დაამტკიცებს, ჩვენ მაშინ გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს ორივე დებულების შესახებ...

გაკვრით.

„მეგობარი" ერთხელ კიდევ ეხება ეროვნულ დემოკრატებს და უჩარდის პირით ოხუნჯობით ართობს თავის მკითხველებს...

ერთი კი ავიწყდება რომ „გუნდა, ლახუსტაკი, ფერ-უმარული და „ვეფსკა" სწორედ ფედერალისტების სამკაულია, და სწორეთ ამ სამკაულის ხმარებას უკი-

---

გრიშიკო მწერალი.

(მოთხრობა).

III.

(შემდეგი იხ. „სამშობლო" № 209)

ამ დღიდან მართლაც გამწვავდა დედა-შვილთ შორის მდგომარეობა. ქალიშვილებმა ნამეტანი კარ-ჩაკეტილობა ვეღარ აიტანეს და ერთის უკიდურესობიდან მეორეში ჩავარდენ, ე. ი. თუ აქამდისინ ყმაწვილ კაცს თვალებში ვერ შეხედავდენ ხოლმე სირცხვილით, მასთან ჯდომასა და ლაპარაკს ვერ ახერხებდენ, დღეს ნამეტანი ალვირ ახსნილნი შეიქნენ და კდემამოსილება გადალახეს, ზრდილობა და მართულებლობა ფეხ ქვეშ გასთელეს. მათი ასეთი ქცევა ყველას უკვირდა, ვინც მათი წარსული იცოდა. ამ ოჯახში უფროსი უფრო აჭარბებდა უნცროსს თავ-აშვებულობაში. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენში პირველად უფროსს ქალიშვილს აძლევენ ნებას „გასვლა-გამოსვლისას", ჩაცმა-დახურვისას და თავის „გასაპატიურობისას". უნცროსი კი ამ დროს შინ ზის და კარში გამოსვლას ვერ ბედავს. რომელიც გასათხოვარია ჯერ წინ ის უნდა იდგეს, რომ როგორმე გასაღდეს, პატრონს ჩაბარდეს, მერე უნცროსი „გამოვა გარეთ". ასე თუ არ იქნა, მაშინ შეიძლება უნცროსმა ჩაჩრდილოს უფროსი, ან მხედველობით, ან სილამაზით, ან ჩაცმა-დახურვით და მაშინ შენს უფროსს განზე გადისვრის. შესაძლოა უნცროსი გათხოვდეს და უფროსს რაღა ეშველება? ეს ხომ ცოდვაა და თან შეუფერებელი—უჩვეულო, რომელსაც ჩვენებური თავად-აზნაურობა ვერ შეურიგდება. „ჯერ თავო და თავო მერე ცოლო და შვილო", ასე იციან ყოველთვის და ასეც სრულდება ამ ორ ქალიშვილებზედაც.

ჯერ მაშიკომ „გამოიკვინტრიშა" და იწყო დედის წინ „ხტომა". ყველგან, სადაც პატიოშა იყო, მაშიკო მიდიოდა; ნათლობა, წირვა, ტირილი და ამისთანა რამეები იქნებოდა, ყველგან მაშიკოს პირველი ადგილი ეჭირა. თუ სტუმარი გაჩნდებოდა მათს ოჯახში, პირველად მაშიკო უნდა შეეგებებოდა, „სტოლს ის გააწყობდა", დაირას ის დაუკრავდა, უნცროსი კი ამ დროს საჯალობო სახლში ტრიალობდა, ხაჭაპურების გამოცხობა მას ჰქონდა ხოლმე მინდობილი, ყველკვერცხი, ტაფა-მწვარი და სხვა ასეთი მას უნდა გაეკეთებინა. ერთი მოვალეობაც ჰქონდა: სუფრაზე უთუოდ უნცროსს უნდა ჩამოეტარებინა ბლუდით საპნელი.

მჭადის მოზელა და მისი კეცზე გამოცხობა დიდი სათაკილო საქმე იყო. აზნაურის ცოლ-შვილი მჭადში ხელს როგორ გაურევს, ეს ხომ სირცხვილი და თავის მოჭრაა. თუ ისეთი საქმე მოხდებოდა აზნაურის ოჯახში, ე. ი. თუ მჭადს მოზელდენ და კეცზე დააკრავდენ, მაშინ გამკეთებელს თავ-პირი უნდა აეფუთნა, კარები მაგრა ჩაეკეტა, რომ არავის ეცნო და ენახა. თუ გაწყრა ღმერთი და ამ დროს ვინმე მოვიდოდა, მაშინ ცომიან გობს სადმე გადასვრიდენ, კეცებს გადმოიღებდენ ცეცხლიდან, ნაცომარ ხელს გადაიბანდენ და თითქო აქ არაფერიაო, შეეგებებოდენ და მიიღებდენ სტუმარს.

— ვაი ჩვენს ქამას, რა დროს მოვესწარით! მის დღეში ჩვენსა „ყაზახ-ს" ქალის [illegible] მჭადი არ გაუკეთებია და ამას რას ვიდავ? ზედ რომ გადააკვდე ახლა ყაზახს მჭადს არ გამოუცხობს.

მთელი დღე რომ იარო, ეს გასაწყვეტლები, ერთი არ გამცემს ხმას ძაღლივით; თუ შორს რამე გზით, ან საკაბეს უნდა შევრიდე, ან რამე დიდი საციქველი უნდა მისდე, რომ მეიკარო ვინმე სახლში და რამე ხელი შეასვრევიო.

[illegible] არის ჩვენი ცხოვრება?—ხშირად იტყოდა რომელიმე ჩვენებური აზნაურის ცოლი და შესჩიოდებოდა თავისიანს.

მაშიკოს სითამამეს ერთი თვალი—საჩინო მოქმედება მოჰყვა, რომელიც არ [illegible] შეუნიშნავი მის გამჭრიახ დედას. ელენტიასას ერთი „წუკარტი" ბიჭი დაჰყავდა, თვალებ დაბრეცილი, ცხვირ ჩაძელებული, უწვერ-უულვაშო, უშნო, [illegible] კაცი, ელენტიასვე ძმის შვილი პეპულა ჯანგიაშვილი. ეს ბიჭი მახლობელ სოფელში თერძობდა და მით ირჩენდა თავსა. მამისაგან კაი ხნის გამოყოფი იყო, რაც რამე მამულ-დედული ერგო, კარტ-ნარდსა, სამიკიტნოსა და მარყვნილებაში გაეფლანგა, მერმე ერთს ნაცვეთილ თერძს მიებარა, მასთან ორი წელი დაჰყო, ისწავლა ჩოხა-ახალუხის პაიჭების ჭრა-კერვა, მერმე თვითონ გაალო ერთ პაწია დუქანი და შალები გამოკიდა, ზოგს ნაღდათ და ზოგსაც ნისიათ უკერავდა. გადანაჭერების ჩამორჩენით თვითონაც გამოეწყო: დაიხურა კაი ბუხრის ქუდი, ჩაიცვა ფერადი ჩერქეზული ტანისამოსი, ქამარ-ხანჯალი, წუღა-მესტი და ქე „გამოიჩითა" ბიჭი. იწყო სიარული ელენტიასას. მაშიკოს და იმან „ჩაღუკარტკეს", ხან ერთი აგებდა, ხან მეორე. ვინც მოიგებდა, მას კამფეტები უნდა ეყიდნა. ხშირად მაშიკო უგებდა. ამ ბიჭსაც მოჰქონდა კამფეტ-შაქარ-ლამები, ერთმანეთს სტაცებდენ ხელში და კორწიკობდენ, ეჯაჯგურებოდენ და რამეს არ სჩადიოდენ. დღე დღეს მისდევდა და ჩვენი ნათესავები უფრო და უფრო უახლოვდებოდენ ერთმანეთს. ეარშიყებოდენ, ხვევნა კოცნა—ლოშნას აღარ ერიდებოდენ. ამას ყველაფერს ელენტია უყურებდა და თავს იკლავდა. ყველაზე უფრო იმას ის უწუხებდა გულს, რომ მისმა ნათესავმა ჩაიდინა ეს სისაძაგლე და ამისათვის სცდილობდა, რაც უნდა დამართოდა, დაეშორებინა ერთმანეთისათვის ეს „მიჯნურები", დიდის ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგს ბიჭი დედამ როგორც იქნა ჩამოიშორა და დაემუქრა: თუ ჩვენ სახლში ფეხს კიდევ შემოსდგამ უსისხლოთ ვერ გადარჩებიო.

II

სოფელი საქორე გვარიანი მოზრდილი სოფელი იყო, აქ ორას კომლამდე თავად აზნაურობა და გლეხები სცხოვრობდენ,—უმეტესობა აზნაურობა იყო. ეს სოფელი ერთს ქედზე იყო გაშენებული, ამ ქედზე ზამთარ-ზაფხულს ქარი ჰქროდა.

აზნაურებში ერთი ბრუტიანი, ცალთვალა კაცი გამოირჩეოდა, სახელად მიხა. ექვსი შვილი ჰყავდა. როდესაც ბავშვები წამოიზარდნენ, მამამ იგინი ზოგი სოფლის სკოლაში მიაბარა, ზოგი დეპოში და ზოგიც ვაჭრებთან, დუქნებში ხელზე მოსამსახურეთ, იქნება მერმე ვაჭრობას დაადგენო.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა უნცროსი ვაჟი გრიშიკო. გრიშიკომ რომ სკოლას თავი გაანება, მერმე, აი 20 წლის იქნებოდა, სოფლის კანცელარიაში მიაბარა მწერლის მოსამსახურეთ; თუ, მწერლობას ისწავლიდა,—რუსული წერა-კითხვა ქე იცოდა,—სოფლის კანცელარიაში სადმე ფეხს შეადგმევინებდა. მამა მისმა, მიხამ მწერლობის ამბავი კარგა იცოდა. „მწერლობას ერთი ხელობაც ვერ დაკრავს,—იტყოდა ხოლმე ის, მთელი საზოგადოება, ათასი კომლი, შენს ხელშია. სადაც მიხვალ, ყველგან ბატონი ხარ, შენია კაი, ულუფა, პატივისცემა; საქმეს გაუკეთებ ვისმე, ასალებსაც აიღებ, ეს მწერლები ამ ხელობით გამდიდრდენ! შეიძინეს ქონება, სახლები წამოჰყვეს, ადგილები იყიდეს, ცოლს კაი უცვიათ და შვილს, ყველგან წინ არიან წამდგარნი. მწერლობას ერთი ხელობაც არ სჯობია. შენ ბატონი ხარ და გარეთაც ყველასთან შენ გაქვს საქმე. „პრისტავი, ვეის ნაჩალნიკი, პასედნიკი, სტუდენის პრისტავი" ვარო, ყველა შენ გეკითხება, უშენოთ წყალს არავინ დაალევს." ასეთი წარმოდგენა ჰქონდა მწერალზე მიხას და აკი ამისათვისაც მიაბარა მან მწერლად სოფლის კანცელარიაში თავისი უნცროსი ვაჟი გრიშიკო.

კანცელარიის მწერალმა გრიშიკოს ჯერ ხელზე მოსამსახურობა ასწავლა, გამოწოფა; თავაზიანად, ზრდილობიანად მიტან-მოტანა, გავლა-გამოვლაში. პრისტავთან ატანდა ძღვენს, წერილებს; გრიშიკოსაც აძლევდენ საფეშქაშოთ ცოტ-ცოტას. ქაღალდებს გადააწერიებდა მწერალი; მერმე ისხოდიაში და ეხოდიაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქინებენ მათ ეროვნულ—დემოკრატები.

ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალი—!— რომ იტყვიან, სწორედ ეს არის..

რაღა უნდა ელაპარაკო ამასთანა ხალხს? ყრუ იმის ყრუა, რომ ათასი წელიწადიც რომ ებაასოთ ვერას შეისმენს.

თუ ჩვენი რეალური მოქმედება არ მოგწონთ, თქვენ ხომ სულ ნისიაზე დადიხართ და რაც თქვენ დახლი დაგიჯდესთ, ჩვენ ნუღარ გაგვიყოფთ.

ნისიაობა და მხოლოდ „ვივესკაა" თქვენი „სოციალისტობა" იმიტომ, რომ „კერძო მესაკუთრე"—თავის ერის, თავის ხალხის—როგორც ეგეთის—ინტერესების დამცველი ვერ იქნება ნამდვი სოციალისტი.

ნისიაობა და მხოლოდ „ვივესკაა" თქვენი „ნაციონალიზმიც", რადგანაც თქვენ როგორც „სოციალისტები" კლასთა ბრძოლის ნიადაგზე უნდა იდგეთ და, მაშასადამე, ერი, როგორც ერთეული, თქვენთვის არ უნდა არსებობდეს.

და აგი მგრეც არის!.. ვინც თქვენი ჯგუფისა არ არის, ის „მედუქნე და ვაჭარია", ის ქართველი აღარ არის, ის უნდა მოისპოს, განადგურდეს...

ის ღირსი არ არის სიცოცხლისა და მოქმედებისა.

შეიძლება ასეთი თქვენი გულისაქმე „ეროვნული სოციალისტობა" იყოს, მაგრამ რომ ეს არც წმინდა წყლის სოციალისტობაა და არც ჯანსაღი ნაციონალისტობა, არამედ მხოლოდ ორი კურდღლის დაჭერაა—ამას ყველა გონებით სავსე და გულით მართალი ქართველი ხედავს.

თქვენი ეს გულისთქმა სწორედ ის „ვივესკაა", რომელიც თვალსა სჭრის თავის ბრჭყვიალით მაგრამ კი ვერ ათბობს ჭირნახულ ადამიანს.

თქვენ მხოლოდ განხორციელებული ნ. სია ხართ. ნისიათ არიგებთ ხალხს „ბედნიერებას", და ამით გინდათ თქვენი ბატონობა გაინაღდოთ.

მაგრამ არაფრისაგან არაფერი იშობება... თქვენი სოციალიზმი—ტკბილი დაპირებაა, თქვენი ნაციონალიზმი კი მწარე ბატონობა; ჩვენ კი—გასიამოვნებთ და მოგახსენებთ—დიახ დღეს „ნაღდად ვაჭრობა" ე. ი. ვპირდებით ჩვენ ხალხს იმას, რის მიცემაც შეგვიძლია და რაც აუცილებლად საჭიროა თუნდა იმისთვის, რომ შეიგნოს და განახორციელოს საერთაშორისო სამართლიანობა.

1) ქართველ ხალხს არ სჭირია არც ბატონი და არც მონა, თითონ უნდა იყოს ბატონიცა და ყმაც თავის თავისა.

რა გზით უნდა მოხდეს ეს?...

იმ გზით, რომელიც მოსპობს ჩვენში ყალბ სოციალიზმსაც და ყალბ პატრიოტიზმსაც.

ეს არის შეგნება და თავის პირად ინტერესებზე საქვეყნო საქმის მაღლა დაყენება.

აბა მოვიხედ-მოვიხედოთ გარშემო განა საქმით ბევრია ხალხის ჭირისუფალი?

და თუ არის ვინმე, ის ყოველთვის დამცირებულია სწორედ იმათგან, ვინც სხვის ხელით ნარსა გლეჯს და, თითონ კი „სოციალისტისა და პატრიოტის" სახელს იხვეჭს..

რომელ ჯგუფში უფრო ბევრი მოიპოვება ასეთი აყალბე?

ამის გამოკვლევა მ-ნ უჩარდიასთვის მივანდოთ.

ბრაუჩარდიხ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ სეანსები საქველმოქმედო მიზნით. დღეს ელექტრო თეატრ რადიუმში გაიმართება სეანსები საქველმოქმედო მიზნით. შემოსავალი გადაიდება ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის საქალებო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად. იმედია, ამ გვარ საქმეებში ყოველთვის გულ უხვი ქუთაისის საზოგადოება ამ სეანსებსაც არ დაივიწყებს.

✦ **აბრეშუმის პარკის პატრონებთა საყურადღებოთ.** ამ ქამათ პარკის ფასმა შესამჩნევათ აიწია. ფუთი ხმელი პარკი 63 მანეთამდი იყიდება.

ფასის აწევა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ნუხაში პარკი გამოლეულა აბრეშუმის ძაფი ამ ქამათ ფუთი 340 მან. ფასობს.

ვაფრთხილებთ პარკის პატრონებს, ვისაც აქვს, ნუ დაიჩქარებენ პარკის გაყიდვა.

✦ **ცეცხლის გაჩენა.** 5 ოქტომბერს ს. კირცხის მცხოვრებს დავით ქელიას მტერობით დაუწვეს სახლი და ოჯახის ავეჯეულობა. ზარალი 250 მ. აღემატება.

✦ 6 ოქტომბერს, ს. განაჯია—მუხურის მცხოვრებთ სოსო ჩხოლარიას და აბუ ჰაპანაძეს ჩხუბი მოუვიდათ. ჰაპანაძის შვილმა მამის მოჩხუბარი თოფით სასიკვდილოთ დასჭრა. ჩხოლარია მეორე დღეს გარდაიცვალა. მკვლელი შეიპყრეს.

— გაცარცვა. ს. ხიბულის მცხოვრებს მატრონა კურაშვილს დაეცნენ ავაზაკები და 40 მანეთი წაართვეს. ავაზაკთაგანი ერთი შეიპყრეს. ის აღმოჩნდა ამავე სოფლის მცხოვრები რაჟდენ ყურაშვილი.

— ქურდობა. ს. ქვედუბნის მცხოვრებს მიხეილ გვახარიას 9 ოქტომბერს მოპარეს ცხენი ღირებული 100 მ. ქურდი აღმოჩნდა ვარლამ ჭუტურცია, რომელიც დააპატიმრეს.

ამავე სოფლის მცხოვრებს 7 ოქტომბერს მიხეილ გოშუას მოპარეს 2 ცხენი ღირებული 420 მან.

✦ ქიათურის შავიქვის საბჭოს გამგეობამ დიდი ხნის თხოვნის შემდეგ დ ქიათურისათვის მიიღო სამი ქვაბი ნავთი.

✦ ჩვენს რედაქციაში ხშირათ შემოდიან სოლორის სასაფლაოს მიცვალებულთა ჭირისუფლები და სჩივიან, რომ სასაფლაოზე დიდი უწესოება არის დამყარებული. საქონელი საფლავებს აბინძურებენ და არავინ ყურადღებას არ აქცევსო. როგორც ვიცით, ამ სასაფლაოს სამზრუნველო კომიტეტი ჰყავს და საჭიროა ყურადღება მიაქციოს.

✦ ქალაქთა კავშირმა ქუთაისის განყოფილების კომიტეტს გამოუგზავნა სასანიტარო და საევაკუაციო განყოფილებას მთავარი ალექსანდრე ოლდენბურგსკის ორი დეპეში. დ წვრილებით ხვალ.

— 4 ოქტომბერს, ს. გამბერის მცხოვრებს თედო ჯანგავას უეცრივ დაეწვა სახლი. ზარალი 95 მანეთამდეა.

— 3 ოქტომბერს ს. ჯვარის მცხოვრებს სოლომონ კარკავას უეცრივ დაეწვა სახლი, ავეჯეულობით, ზარალი 2000 მანეთამდეა.

✦ ამ დღეებში თბილისის სამმართველო პალატის სესია ჩამოვა ქუთაისს, სადაც ერთ კვირას დაყოფს. სესია რამდენსამე საქმეს გაარჩევს.

✦ გუშინ დასრულდა ქუთაისის მაზრის ჯარის კაცთა ომში გაწვევ-კომისიის სხდომები. კომისიამ ხელახლათ შეამოწმა მობილიზაციიდან სრულიად ან დროებით განთავისუფლებული სათადარიგო ჯარის კაცები. კომისიაში მონაწილეობას იღებდა გამოგზავნილი კაცი.

✦ ქალაქის საბჭოს სხდომა მოხდება ორშაბათს, 3 ნოემბერს.

✦ დღეს შავი ქვის საბჭოს დარბაზში საღამოს 7 საათზე შესდგება ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის სხდომა.

✦ ქალაქის გამგეობამ ნავთის მიღებისათანავე ქუჩების განათება განაახლა.

✦ ზოგიერთი ვაჭარი მიუხედავათ იმისა, რომ საფოსტო მარკებს ფულის მაგიერათ ხმარობენ, მარკებს მაინც ზედმეტ ფასებში ჰყიდის.

✦ ქუთაისში ჩამოვიდა გაზეთ „დენის" თანამშრომელი, ცნობილი პუბლიცისტი ბ. ვოდოვოზოვი,

✦ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე ჯარის კაცთა ომში გაწვეულთა ჭირისუფლებმა საჩივარი აღძრეს, რომ ქალაქის გამგეობა მას დახმარებას არ აძლევსო.

პატარა ფელეტონი.

შემოდგომა.

(სურათი)

(ვუძღვნი ილიკო ნ—ძეს)

— დადგა შემოდგომა. სიცივემ ჩამოინავრდა და არე-მარემ დაჰკარგა ამწვანებული ცხოველმყოფლობის სინაზე. ქვენა ქარმა შექცევით ააშრიალა ფერმიმკრთალი ფოთლები და მიულოცა მათ შემოდგომის დასაწყისი.

მინდორ-ველს მწვანე ბალახს სიომ ცელქათ შეუთამაშა შეყვითლებული ქოჩორი შეანიავა და თანაც სურდა საზამთრო ძილისათვის მოემზადებინა.

— მინდვრათ არ ისმის: არც ბავშვების ჟივილ-ხივილი, არც მუშა ხალხის კვნესა-ვაება და არც ცხოველების ჩვეულებრივი ღმუილი.

სრული სიწყნარეა, მყუდროებაა...

სამხრეთისკენ გადახრილი მზე ცის თაღის შუაგულიდან აღარ ახურვებს დედამიწას. საღამოს სიო გაშიშვლებულ შემოდგომის ზღაპრებს გვიამბობს. შემოდგომის მეგობარს, ზამთარს, მთებისათვის ქოჩორი შეუთეთრებია და თავის მოახლოვებას გვიქადის.

მოშორებით... სამხრეთისაკენ, მოსჩანან ზანტათ და უშნოთ აყუდებული მთები.

ამ მთების ძირში მიიკლაკნება რუ, რომელიც ერთ მთის ბოლოს, თვალაუწვდენელ სიმაღლიდან ჩანჩქერით ეშვება ვაკეში, სადაც ეხეთქება კლდის ძირს და ქაფით ქცეული უერთდება მდინარეს.

მთის მარჯვენა მხრით მოსჩანს ზღვა, ქვეყნის მესაიდუმლე სტიქია, რომლის ტალღებიც, ხან ბრაზმორეული, ხან წყნარათ მოლივლივე ეკვრიან ზღვის კიდეებს და ხშირათ მის აზვირთებულ ტალღებში ხომალდი ციბრუტსავით დასრიალებს და ეს ცელქი მონავარდე, თვალ გაუწვდენელ წყლის სივრცეში თანდათან იმალება. მესმის იალქანმა ოჰრიზონტზე ერთხელ კიდევ შეიფრიალა მოჩვენებასავით და გაქრა.

ზღვა კი მას შეხარხარებს გულშემზარავ კვნესით.

ნეტავ სჩნთქავს თუ არა მას ეს აქაფებული და მოუსვენარი ზღვა?

ან ვის თავზე დაიკვნესებს, დედამთვრალო, ზღვის მტრედი, ალიონზე?

ვისი ათვალცრემლებული დედა მოუთხრობს ხალხს, უდროვოთ დაკარგული შვილის ამბავს და ვის იგლოვებს ერი გულდათუთქული?..

შუაღამისას, ცის გუმბათზე აციმციმდენ მოუცლენე ვარსკვლავები და მტრედის ფერ ოკეანეში ამოცურდა ბადრი მთვარე.

— მთის გადმოღმა ისმოდა ხმა გულდაკოდილი ხალხის მესაიდუმლისა. მის ალმაფრენ კეთილ სიტყვას, ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა და მის ხმასთან ჩაქსოვილი გუგუნი გულდაიარებულ მასსისა მთების ნაპრალებში სკდა.

ეს რაზმელები იყვნენ...

შემოდგომის შემოქმედებითი საიდუმლოება კი გამოცანათ ჩამოყალიბებულა, ეს სფინქსია მომავლისა და ამიტომაც მისი გამოცნობა კაეშნის გამქარწყლებელია, მაგრამ...

— ის ფიქრი, რომ შემოდგომის საიდუმლოება სფინქსია, მოსვენებას არ მაძლევდა, და ჩემს ფრთა შეკვეცილ ოცნებას კაეშანი ემატებოდა.

ვასო შითავა.

სამეურნეო სასწავლებელი სოფლად.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის უკან ჩამორჩენა საყოველთაოთ ცნობილია. ერთი მხრით ძველის-ძველი მამაპაპური მეწარმოქმედება, ხოლო მეორე მხრით ახალი მრავალფეროვანი მოთხოვნილება და გაზრდილი სამეურნეო ბაზარი—აი ამ წინააღმდეგობაში იხრჩობა დღეს გლეხობა. აქედან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ ორი გზით: მეურნეობის რაციონალურათ წარმოებით და სოფლის მოჭარბებულ მცხოვრებთა გარეთ გასვლით. გლეხობამ კი პირველ გზას თითქმის სავსებით გვერდი აუქცია და მიაწყდა მეორე გზას, მაგრამ ვინაიდან მრეწველობის სისუსტე ჯერ კიდევ ვერ აჩენს შრომის საკმაო ბაზარს, ამიტომ გარეთ გასულთა დიდი ნაწილი იძულებულია შინ დაბრუნდეს ცარიელ—ტარიელი ან და გაამრავლოს ქალაქთა უმუშევრობის ჯარი და მით ხელი შეუწყოს შრომის აუტანელი პირობების შექმნას.

ამავე დროს მრავალი მიწები რჩება დაუმუშავებელი ან და მეტათ იაფ ფასიან მცენარეებით დამუშავებული. მეურნეობის ბევრი დარგი ალალბედზეა მიშვებული, თუ ბუნება ნაყოფს მოიტანს ხომ კარგი, თუ არა და ოჯახის მუშა ხელი ამ საქმისთვის არ ამუშავდება. ხილი, ბოსტანი, რძე—ეს და სხვა მრავალი ასეთები საგნებიო დარგია მათთვის განსაკუთრებით მუშაობას არ ეწევიან. ჩვენ კიდევ ვიმყოფებით პირველყოფილი მეურნეობის ხანაში და რა გასაკვირალია თუ ბაზრის მოთხოვნილებას ვერ ვაკმაყოფილებთ და სანოვაგის ფასები უზომოთ იზრდება; დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სოფელი განსაკუთრებით გურიის დიდი ნაწილი, თავის მოთხოვნილებათა დიდ უმეტესობას იკმაყოფილებს არა თავის სამეურნეო ნაწარმოებით, არამედ გარედან შემოსული საშუალებით. მაგ. ლანჩხუთის ფოსტაში თვიურათ რამდენიმე ათასი მანეთი მოდის სხვა და სხვა პირის სახელზე. ეს გარემოება შინ დარჩენილთ აჩვევს სუბუქ, ზერელე მუშაობას, ხოლო გარეთ გასულთ ართმევს საშუალებას ახალ ბინაზე ადამიანურათ იცხოვროს, ქალაქს კულტურულათ და ოჯახურათ დაეკავშიროს და მოქალაქე გახდეს სოფელი ულპავს მათ ნაოფლარს და ეს იმავე დროს აქცევს ორივეს, ძირს უთხრის ორივეს ეკონომიურ დამოკიდებულობას და ნაყოფიერებას.

ამ უკუღმართი ურთიერთობის რამოდენიმეთ შეცვლა, შრომის საერთო პირობების შემსუბუქება შესაძლებელია მეურნეობის სათანადო სიმაღლემდის აყვანით, გონიერი მიწათმუშაობით. არასოდეს სამეურნეო განათლებას არ ქონებია ისეთი ნიადაგი, როგორიც დღეს აქვს, როცა მიწის არც ერთი ნაყოფი არ რჩება გაუყიდველი, სამეურნეო ბაზარი დღითი დღე ფართოვდება, ხოლო მეურნენი, როგორც მამულიანნი, ისე უმამულონი, ბაზრის ზრდას სრულიად ანგარიშს არ უწევენ და პირველყოფილ მეურნეობას თავს ვერ აღწევენ. სამწუხაროთ არსებულმა სამეურნეო სასწავლებლებმა თავისი უნაყოფობით კიდევ უფრო გული აუცრუა მეურნეთ სამეურნეო განათლებაზე. [illegible] იმით, რომ ეს შკოლები გახდნენ [illegible] გაჩინოვნიკების, სოფლიდან დაშორების, მეურნეობის დატოვების და ჯამაგირიან ადგილებზე მოკალათების. ხალხს კი ეჭირვება სწორეთ ისეთი სამეურნეო ცოდნა, რომელიც მას აკავშირებს მიწასთან, მის მეურნეობასთან და ქმნის მისგან გონიერ, რაციონალურ მიწის მუშას. რამდენათაც საჭიროა მრეწველობისათვის მუშა ტეხნიკოსი, იმდენათ და კიდევ უფრო მეტათ საჭიროა მეურნეობისათვის რაციონალური მეურნე.

ყველა ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ლანჩხუთის საზოგადოების ერთი ნაწილი და გადასწყვიტა ლანჩხუთში დაარსოს პრაქტიკული სამეურნეო სასწავლებელი. ამ აზრს დიდის თანაგრძნობით შეხვდა ხალხი, რაც გამოიხატა შეწირულებათა შეგროვებაში. ამ საქმის თანამგრძნობთა კრებამ აირჩია სამეურნეო წრე, რომელმაც უკვე შეიმუშავა სკოლის ტიპი და ახლა მოუწოდებს, როგორც ლანჩხუთელებს, ისე გარეშეთ, დაეხმარონ ამ საქმის განხორციელებაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განზრახული სკოლა გახდება მისაბაძი სხვა სოფლებისათვის. სკოლის ტიპი ასეთია:

პრაქტიკული სამეურნეო სკოლა არსდება ორი წლის კურსით, მაგრამ ამავე დროს, გარდა მუდმივი შეგირდებისა, იქ მიიღებიან ყველა სოფლელი, რომელთაც მეურნეობის რაიმე დარგის გაცნობა ან შესწავლა სურს განუსაზღვრელად დროისა და რიცხვისა. თეორია ისწავლება დღეში მხოლოდ ერთი საათით, მთელი დანარჩენი დრო ხმარდება პრაქტიკულ მუშაობას, რის დაესწრება და ნახვა ყველას შეუძლია. მუშაობასთან ერთად მასწავლებელი გააცნობს ბოტანიკას და სხვა საჭირო მეცნიერებიდან მიუცილებელ ცნობებს. და ამას იმდენათ, რამდენათ საჭირო იქნება პრაქტიკისთვის. სკოლის მიზანი იქნება დაეხმაროს სოფელს მეურნეობა დააყენოს კომერციულ ნიადაგზე. ამისათვის კი საჭიროა მან გააუმჯობესოს დამუშავება იმის, რასაც დღეს ამუშავებს და შემოიღოს ისეთი სასარგებლო მცენარეები, რომელსაც კარგი ბაზარი აქვს და ადგილობრივ ნიადაგს და ჰავას უდგება. ამიტომ სკოლა მიაქცევს განსაკუთრებით ყურადღებას მანდარინს, თხილს, ვენახს, ჩაის, ბამბუკს, დაფნას, კანაფს, სელს, ბოსტნეულობას, ხილს და სხვ. სკოლასთან იქნება აგრეთვე სახელოსნო განყოფილება ბამბუკის გამოსაყენებლათ, კალათების საქსოვათ და სხვა.

ერთი სიტყვით, განზრახული სასწავლებელი იქნება ფერმა—შკოლა და გახდება ხელმძღვანელი სოფლის სამეურნეო განვითარების. თავის თავად ცხადია, რომ სწავლება უნდა იყვეს ქართულ ენაზე, უამისოთ მთელი შრომა ფუჭია. რომ მთავრობამაც მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში, საჭიროა შესაფერი მიწა და სკოლის შენობები, რაც მოითხოვს გვარიან დიდ ხარჯს. ლანჩხუთის სამეურნეო წრე საზოგადოების დავალებით მიმართავს ამ საქმის თანამგრძნობთ ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს; თვით მცირე შემოწირულებაც დიდის მადლობით იქნება მიღებული. წრე მიმართავს აგრეთვე ლანჩხუთის მცხოვრებთ მიბაძონ მეთოდე გვარჯალაძეს და სხვებს, რომელთაც თავიანთი მიცვალებულის ქელეხი არ გასწიეს და სამაგიეროთ სამეურნეო სკოლის ფონდს შემოსწირეს.

აი შემომწირველთა სია: მეთოდე გვარჯალაძე გარდაცვალებულ შვილის სახსოვრათ 500 მან, ექვთიმე ორაგველიძემ გარდაცვალებულ დედის სახსოვრათ 100 მან., სანდრო ბისიეიშვილმა გარდაცვალებულ ძმის სახსოვრათ 50 მ., ლანჩხუთის საკრედიტო დაწესებულებამ 15 მ., სულ 665 მ.

ლანჩხუთის სამეურნეო წრე: ნოე ჟორდანია, მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე, ვლადიმერ გვარჯალაძე, დიმიტრი ცინცაძე, ისონ ჯორბენაძე, ვ. ს. ქარცივაძე, დიომიდე ორაგველიძე.

P. S. ვთხოვთ სხვა რედაქციებს ეს ჩვენი მოწოდება გადაბეჭდონ.

სამ. წრე.

პროვინციის ცხოვრება.

იანეთი (ეწერის საზოგადოება). მეოთხე წელიწადია, რაც აქ წვრილი კრედიტის ბანკი დაარსდა. ბანკის დაარსების მიზანი იყო: მოესპო მოვახშეობა, გაევრცელებია მეურნეობა, გაეხსნათ კოოპერატიული სავაჭრო, სამკითხველო და სხვა. საუბედუროთ, მოლოდინი არ გამართლდა, და მევახშეობა უფრო გავრცელდა. თუ წინათ თვეში თუმანზე სამ შაურს ახდევინებდენ, დღეს მეტს ახდევინებენ, რადგან თუ ბანკში დროზე არ შეიტანა სესხი საცხოვრებელზე ხელს აღებინებენ.

ზოგიერთმა მოწინავე პირმა 1913

ჩი ეურნალების წარმოებაზე გადაიყვანა; უწყების წერაც თანდა თან მიიმარჯვა; „პოლონიკებთა" „უქაზების" წერაც მის ხელთ იყო. გრიშიკო სოფლის მწერალთან ბევრს საქმეს სწავლობდა, ასე რომ დაბოლოს საქმეებს თვისით აწარმოებდა, დაუხმარებლად. რაც დრო გადიოდა, გრიშიკო დაუხლოვდა საზოგადოებას, აქ-იქ მიიპატიჟეს, სადღეგრძელოების სმას მიჰყო ხელი. გოგოებთან არშიყობაც შეისწავლა; ქრთამი და ძღვენი არც იმას დასწვავდა პირს. ასე რომ დახელოვნებული მექრთამე შეიქნა ჩვენი პაწია გრიშიკო მწერალი. გრიშიკო იყო ტანად ჩიჩქვი, მერთხი, რაც ზევით იყო, იმდენი დედა-მიწის ქვევით, კატასავით თვალ-ჩიჩხი, ცალი ფეხი მოკლე ჰქონდა. ლაპარაკის დროს წარა-მარა იცინოდა, ხვიხვინობდა. სირცხვილ—ნამუსზე მწყრალად იყო და გაქნილობაში ვერვინ შეედრებოდა.

ჯერ კიდევ 20 წლის არ იქნებოდა, დედიაშვილს ნამუსი ახადა. ხშირად დადიოდა დედიასთან და თურმე, ნუ იტყვით, სხვა გაიძვერულ, გარყვნილი მიზნით. დედიას ჰქვს აპა როგორ შეიტანდა მასზე და თურმე მის ქალს და გრიშიკოს კი კაი ხანია ღმერთი გასწყრომოდათ. სხვა ყველა ატყობდა, რომ იგინი წმიდა წყლის მსმელნი არ იყვნენ. გრიშიკოს დედიაშვილს ერთი წლის შემდეგ მუცელი „შეუმაღლდა." ეს ამბავი წინა პირველად მხოლოდ მისმა თვალებმა დამდგარმა დედამ შენიშნა, მაგრამ ქმარ შვილს კი უმალავდა ამ საჯაყ საქმეს. მშობიარობამდი ერთი კვირით ადრე გრიშიკომ ის წაიყვანა ქალაქში „მოსანამუსებლად". იქ ერთს გარყვნილ დედაკაცთან დააბინავა და დაავალა რამე ნაირად ქალი სიკვდილს გადაერჩინა და შვილისათვისაც რამე მოეხერხებია. როცა ამ ქალს შვილი ეყოლა, ბავშვი ჩვრებში გახვიეს და რკინის გზის ერთს დიდს სადგურზე ვაგონში შესდვეს. ორი კვირის შემდეგ გაზეთში ეწერა: ამა და ამ რიცხვში ჩვრებში შეხვეული ახლად დაბადებული, მამრის სქესის ბავშვი იპოვეს მატარებელშიო.

ეს ამბავი მერეც ყველამ გაიგო. პატარა ხნის შემდეგ ახალი აღოგინებული ქალი, მწუხარებით გამოპანწული, დედ-მამის კარზე მოადგა. მამამ და ძმებმა რომ გაიგეს რაშიაც იყო საქმე, მოსდგენ და ნალოგინარი ქალი მოკლეს. საქმეს ან კი რაღას უშველიდენ! ასე და ამ ნაირად გააწბილა გრიშიკო მწერალმა თავისი ნათესავი. ერთი წლის შემდეგ თვითონ გამოუნახა მისი შესაფერისი საქმრო.

გრიშიკოზე ლაპარაკი საზოგადოებაში გახშირდა, ყველა გლახა თვალით უყურებდა, ეშინოდით მისი სახლში გატარება, მისი საქციელი არავის მოსწონდა და ქალებს მაინც თვალის დასანახავად ეზიზღებოდა. ამას გრიშიკოც ატყობდა და ფიქრობდა რამენაირად თავისთვის ეშველა რამე. ბევრი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა ამ საზოგადოებიდან მეორე საზოგადოებაში გადასვლა. ბოქაულთან იმდენი აბერხა, რომ იქაური მწერალი დაათხოვნია და თვითონ ქე გაიკრა მწერლის ალაგი, ჯამაგირი იყო 300 მ. მაგრამ ორი იმდენს და მეტსაც სხვა გზით შოულობდა.

კ. გძელი.

(შემდეგი იქნება).

წ. სამკითხველოს შესახებ ადრეა საკითხი, ბანკიდან ცოტა ფული გადადეს, გაზეთები გამოიწერეს, საჭირო იყო ნებართვის აღება აკაკის სახელობაზე სამკითხველოს დაარსებისათვის, მაგრამ დღევანდლამდი სურვილი სურვილადვე დარჩა. ბანკს არც ერთი ჟურნალ-გაზეთი არ მოსდის.

დღეს ასეთი გაჭირვების დროს, ყოველი მხრიდან ისმის, რომ ბანკის საშუალებით ხსნიან კოოპერატიულ ხაჯჰოლებს, იწერენ მანიფატურას, ჯოგირდის, აბრეშუმის თესლის, იკვლევენ საკვებ სანოვაგის რაოდენობას და, თუ რამე აკლიათ, იძენენ პირველი ხელიდან, რომ მიაწოდონ მცხოვრებთ ზომიერ ფასებში.

ჩვენი ბანკი კი სდუმს, არც ერთ ზემოხსენებულ საჭიროებისათვის თავს არ იწუხებს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ბანკს იმ თავიდან დღემდე ისეთი გამგეობის წევრები არ შეხვდენ, რომელთაც ხალხისთვის გული შესტკიოდეს. ბანკის გამგეობის თავჯდომარეთ დეკანოზი ზოსიმე შანიძე ბრძანდება, რომელიც როგორც ბლაღოჩინი მღვდელი, მასწავლებელი და მეოჯახე, რა თქმა უნდა, ბანკში დანიშნულ დროსაც (კვირაში ერთხელ) ვერ ესწრება ბევრი საქმის გამო. მას მინდობილი აქვს ბ. ყუფარაძეზე, რომლის ყურადღებაც მარტო იმაზეა მიქცეული, რომ მოვალემ სესხი დროზე შეიტანოს და თუ ფული არის ბანკში, მიასესხოს უფრო მახლობელს. ყუფარაძე ფულის გასესხება—ალებაში დახელოვნებულია და ხელოვნურათაც ასრულებს, ხოლო წინსვლისათვისის თავს არ იწუხებს. მე მგონია, ბანკის გამგეობის უმოქმედობას ყურადღებას უნდა აქცევდეს ბ. ინსპექტორი, უნდა ნახულობდეს გამგეობის წევრთ და მასთან დაახლოებულ პირებს, უხსნიდეს მათ საჭირო საგნებს. ამიტომ კარგი იქნება თუ ამ რაიონის ინსპექტორი ბ-ნი ჯაფარიძე მოახდენს საზოგადო კრებას, მიუთითებდეს დღევანდელ საჭიროებაზე და დაავალებდეს გამგეობას ფხიზელ მოქმედებას. ინსპექტორის მოსვლა და ანგარიშის გაწევა საჭიროა, რადგან საბჭოს წევრები წლიურათ ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

წასულ კვირაში აქ გადაიწვა ღარიბი გლეხი ექვთიმე კობალეიშვილი. საცოდავი, ისედაც წელში იყო გაწყვეტილი სიღარიბის გამო და დღეს სრულებით ცარიელზე დარჩა წვრილი ცოლშვილით, უსახლ-კაროთ და ნახევრათ ტიტველნი. ულმობელმა სტიქიონმა შთანთქა მათი ყოველივე ნაშრომი: სიმინდი, ჩალა, ლოგინს-აწოლი და ტანისამოსი არა გადარჩენილა რა. საცოდავები გულმოკლულნი დასცქერიან თავიანთ ნასახლარს. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გახლდა მცირე წლოვანი ბავში, რომელმაც სათამაშოთ ცეცხლი გაუჩინა სახლის ახლოს დაყრილ ჩალას.

მივაქცევთ ქ. საქველმოქმედო საზოგადოების ყურადღებას, რომ რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს სტიქიონისაგან განადგურებულ ოჯახს.

ი. ხეთურელი.

ხიდ. გომი. თექვსმეტ ღვინობისთვეს აქ მოხდა საკრედიტო ამხანაგობის არაჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრების მიზანი იყო არჩევა გამგეობის წევრის აწ უკვე განსვენებული პარმენ დოშენტის ძის მაჭარაშვილის მაგიერ. კრება გაიხსნა ადგილობრივი მემამულის დიმიტრი ალექსისძის თავჯდომარეობით. პირველად კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის მაჭარაშვილის ხსოვნას თავჯდომარემ აუხსნა კრებას მოწვევის მიზეზი და ურჩია დაესახელებინათ ღირსეული კანდიდატები. კრებამ, მიუხედავათ იმისა, რომ ბოროტი ენები ცდილობდენ ხალხის შეცდომაში შეყვანას, გამოიჩინა მოქალაქობრივი სიმამაცე და ერთხმათ აირჩიეს ადგილობრივი აფთიაქარი იპოლიტე ფილიპეს-ძე ყაველაშვილი, ხოლო კანდიდატებათ ბ. გაბრიელ შანშიაშვილი და ფარსადან კვირიკაშვილი. თავმჯდომარემ სამჯერ მისცა კრებას წინადადება,—დაესახელებინათ სხვა კანდიდატიც, მაგრამ კრებამ განუცხადა: ჩვენ სხვა კანდიდატს არ ვასახელებთ, კანდიდატიც ეს არის და კიდევაც მაგას უნდა ჩავაბაროთ ჩვენი ბანკის წარმოებაო. კრებას დაესწრო ა' ჩვიდმეტი კაცი.

ბამბუკა.

გლეხის საერთო მდგომარეობა

არას დროს არ ყოფილა ჩვენი გლეხი კარგს მდგომარეობაში, მაგრამ რა მდგომარეობაშიაც დღეს იგი იმყოფება, ყოველ გაჭირვებას აღემატება.

ამ გაჭირვებას განიცდის კახეთისა, ქართლისა და იმერეთის გლეხობა საერთოდ და მათ შორის ქართლის გლეხობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

სოფელი ლეშის ანაბარად მიტოვებულა, სოფელს პატრონი არა ჰყავს, არავის შესტკივა მისთვის გული. გლეხი საიდანაც მიიხედავს მტერსა ჰხედავს. ყველა იმაზე ნადირობს, ყველა სცდილობს ხელში ჩაიგდოს, მოატყუილოს, ტყავი გააძროს.

გლეხის გული იმდენადაა გატეხილი, გულში ისეთი უნდობლობა აქვს ჩამარხული, რომ აღარავისი სჯერა, აღარავისი ნდობა აღარა აქვს. შენი გულწრფელობა უნდობ გულს ვერ მოისყიდის, შენი სურვილი, რომ რაიმე სარგებლობა მოუტანო, სურვილადვე რჩება, რადგან ვერ დააჯერებ გლეხს შენს უანგარობაში. წარმოდგენითაც ვერ წარმოუდგენია მას, რომ ქვეყანაზე დაიბადება ისეთი ადამიანი, რომელიც მის გაგლეჯას არ მოინდომებს, როგორც ვერ დააჯერებ მაგალითად კურდღელს, რომ მისი მოალერსება გინდა და სხვა არაფერი.

სოფლად გლეხთან დამოკიდებულება აქვს მემამულეს, მღვდელს, მასწავლებელს, სოფლისა და მაზრის სამმართველოს მოხელეებს, ყველას ამათ გლეხი ჰკვებავს, ყველა ფულს ახდევინებს, ყველა აწუხებს, ყველა ძალას ჰხმარობს. ვის დაუჯეროს გლეხმა, ვისი გულწრფელობა იწამოს, გაჭირვების დროს ვის მიმართოს, ვისგან მიიღოს შველა?

ერთიან რომ მივა და მეორეზე შესჩივლებს, და სამართალს მოითხოვს, „მოსამართლე" ადლიდება და გულის-წყრომით წამოიძახებს: აი, ის უსინიდისო, ისა! მაგრამ ეს გულწრფელობა, ფსიხოლოგიურად რომ გავარჩიოთ, გულისწყრომაა ადამიანისა, რომელსაც რაღასაც ართმევენ, მის საკუთრებას ეხებიან. გლეხს ის თავის მწველელ ძროხათა სთვლის და კული მოსდის, რომ სხვაც სწველის.

არც ეს კმარა. ასე რომ იყოს, კიდევ არა უშავს რა. ასე იყო დღემდის. ბატონ-ყმობის დროს მებატონე და გლეხის „განთავისუფლების" შემდეგ იგივე მებატონე, რადგან ამგვარი განთავისუფლებით გლეხს დამოუკიდებელი ცხოვრება ვერ მოუპოვებია, ეს მებატონე, ეს მემამულე მუდამ კისრად აწვა გლეხს, მაგრამ იმავე დროს მფარველობას უწევდა. ეს მფარველობა გამოიხატებოდა იმაში, რომ უსამართლოდ არავის გააყვლეფინებდა და არავის გაალახვინებდა. ბევრი მამასახლისი და პრისტავი მინახავს მემამულის მათრახით აჭრელებული: „ჩემი გლეხი" რად დაიჭირეთ, ან რად სცემეთო. ბევრი ჩარჩი მინახავს დაქვეითებული „ადმასრულებელ ფურცლით" ხელში: „ჩემია, მე კიდევაც ვცემ, კიდეც გავატყავებ, შენ ნებას არ მოგცემ ხელი ახლოო".

მეორეს მხრივ საზოგადო და სამაზრო მმართველობანი იფარავდნენ გლეხს იმავე მებატონის თვითნებობისაგან. თუ საქმე სასამართლომდე, ან ადმინისტრაციამდე მიაღწევდა, თვითნება მემამულეს ასამართლებდნენ: გლეხი ჩვენს მფარველობის ქვეშ იმყოფება, ნებას არ მოგცემთ, უკანონოდ მოექცეთო.

ასე იყო დღემდის, დღეს ხალხის მოძრაობის შემდეგ სურათი იცვალა.

მემამულესა და გლეხს შორის ერთის მხრივ და ადმინისტრაციასა მეორეს მხრივ ჩამოვარდა სიძულვილი და მტრობა, ორივე ეჭვის თვალით შესცქერებს გლეხს და აქედან იწყება ზედმეტი ტანჯვა-ვაება გლეხობისა.

დღეს გლეხი დამარცხებული მეომარია. მეომარი, რომელმაც მარჯვნივ და მარცხნივ ომი გამოაცხადა და ვერ გაიმარჯვა, ერთსა და მეორესაც ტყვედ ჩაუვარდა. დღეს გლეხს ზემოთ-აღნიშნული მფარველიც აღარა ჰყავს. „არ გინდოდა ჩვენი მფარველობა, ახია შენზე, რაც მოგივა!" უბნებიან გლეხს მარჯვნივ და მარცხნივ და საჭირეში ჰყავთ გათანგული.

ერთისგან შეწუხებული დღეს ვეღარ მიდის გლეხი მეორესთან საჩივლელად საიდანაც მიიხედავს, მტერი ჰხვდება. სძარცვავენ უწინდებურადაც, ნუგეშს კი აღარავინა სცემს.

სოფელში მოვხვდი იმ დროს, როდესაც ერთი მებატონე ადმინისტრატიული წესით ადევნებდა სოფელს სამას თუმანს—ოთხმოცი წლის გაჩეხილ ტყეების ზარალს. ჩემთან მოვიდა რამდენიმე გლეხი რჩევისთვის. ამ გვარი მწარე წუთები, რომელიც მე იმ დროს განვიცადე, ჩემს დღეში არ განმიცდია. რა უნდა უპასუხო შველაზე ადამიანს, რომელსაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტეს და სახრჩობელაზე მიჰყავთ?! დამორჩილების მეტს რას ურჩევ? მეც დამორჩილება ვურჩიე.

მაგრამ არც ეს აკმარა ბედმა ჩვენს გლეხს. მას მოულოდნელად გაუჩნდა კიდევ ერთი მტერი—სოფლისა, დაბისა და სამაზრო ქალაქების ჩარჩ ვაჭარი.

ვინ არიან ჩვენი სოფლის ჩარჩ-ვაჭრები ყველამ კარგად უწყის და ამიტომ მათი აღსახელება საჭირო არაა.

აღსანიშნავი მხოლოდ ისაა, რომ დღემდის ჩვენი სოფლების ვაჭარი იყო უბრალო ვაჭარი, იცოდა თავისი ჯიბე და სხვა არაფერი. თავის თავს სთვლიდა წევრად იმ საზოგადოებისა, იმ სოფლისა, სადაც ვაჭრობდა და თუმცა სარგებლობდა გლეხის მდგომარეობით და ყოველგვარი საშუალებით სცდილობდა მისი სარჩო-საბადებლის ხელში ჩაგდებას, მაგრამ, გიმეორებ, ის იყო უბრალო ჩარჩი, უგულო, სინიდისს მოკლებული წევრი საზოგადოებისა, რომელსაც მიზნად დაუსახავს პირადი კეთილდღეობა და მთელი თავისი მოკლე ჭკუა და ბოროტი გული მიუმართავს ამ კეთილდღეობის განხორციელებისთვის. დღეს ეს ვაჭარი მოევლინა ჩვენს გლეხს, როგორც მოწინააღმდეგე პოლიტიკური მოღვაწე.

ის ვაჭრობს და იმავე დროს თავის პოლიტიკას ემსახურება. დღემდის ის იგდებდა ხელში გლეხის სარჩოს, რომ ჯიბე გაესქელებინა, დღეს ამ უბრალო, მარტივ მიზანს ზედ ერთვება „უმაღლესი", რთული მიზანი.

სოფლის ვაჭარი დღეს ის აღარ არის, რაც იყო. მორჩილი, თავმდაბალი, მორიდებულ-მოკატუნებული, დღეს მას თავი მაღლა აუღია და ამაყად, მედიდურად გამოიყურება, დღემდის მის ძალას შეადგენდა ფული და გაიძვერობა, ფიზიკურ ძალას კი მოკლებული იყო. დღეს ეს ძალაც შეიძინა. ზურგს უკან მას ჰყავს შეიარაღებული მცველი, რომელიც დაიფარავს, თუ რაიმე განსაცდელი დაადგა. ის არის პარტიის წევრი, მრავალ-რიცხოვანი პოლიტიკური პარტიისა და თავის მიზანს თამამად და თავისუფლად ახორციელებს, რადგან ხელის შემშლელი არავინა ჰყავთ, რადგან ჩვენი სოფლები უპატრონოდაა გაშვებული.

ხშირად შეხვდებით თქვენ სოფლებში, მომეტებულად კი დაბებში და სამაზრო ქალაქებში უცხო ტომის კაცს „პიჯაკ"-ზე იარაღ შემორტყმულს, მაღალის ცხვრის ქუდით, რომელიც არავინ იცის ვინ არის, რა კაცია და რა მიზნით მოსულა. შეხვდებით აგრეთვე ამ გვარივე ჯურის ხალხს, რომლებიც რამდენიმე კაცი ერთად დადიან, სოფლად დააქვთ თან ფოტოგრაფიული აპარატები და იღებენ სურათებს ადგილებისას, ციხეებისას და სხვა.

ვის უნახავს მაგალითად ჩვენში დღემდის ამ გვარი სურათი სოფელში: ერთი ვაჭარი დაინიშნა ქართველ გასათხოვარ ქალზე და, როგორც მიღებულია სოფლის ჩვეულება, ჯვრის დაწერამდე, დანიშნული დაიარებოდა ქალის ოჯახში, როგორც კანონიერი ქმარი. გავიდა ხანი, დანიშნული ჯვრის წერას აგვიანებდა. ქალი დაორსულდა. მაშინ დანიშნულმა გამოუცხადა მშობლებს: თქვენი ქალი თუ მიიღებს ჩემს რჯულს, ჯვარს დავიწერ, არა და არ შემიძლიანო. მშობლები დიდხანს იყვნენ უარზე, მაგრამ ოჯახისა და ქალის შერცხვენამ აიძულა იგინი დასთანხმებოდნენ და თავის ქალს რჯული გამოაცვლევინეს.

ვაჭარმა იცოდა, რასაც სჩადიოდა.

ბევრი რამ სხვაც ხდება ჩვენს სოფლებში, მაგრამ ამ ჟამათ მე არ შემიძლია ყველაფერის თქმა. დადგება დრო, როდესაც სუყველაფრის თქმა შეიძლება. დღეს ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენი სოფელი უპატრონოდაა გაშვებული, რომ ჩვენი გლეხი აუტანელ პირობებში იმყოფება და თუ სხვა მოსაზრება არა, უბრალო შებრალების გრძნობა ავალებს ადამიანს მათ მიეპატრონოს. („საქ.")

ხვ. უ—ნი.

ღია წერილი

(მოსკოვის კომ. ინსტიტუტთან არსებულ ქართულ სათვისტომოს მოვალეებს.)

სათვისტომოს გამგეობას ძალიან სამწუხაროდ მიაჩნია, რომ ასეთ ზომებს ხმარობს, მაგრამ იგი იძულებულია სათვისტომოს მოვალეებს პრესის საშუალებით მიმართოს და მოაგონოს შემდეგი:

თქვენ გამოგიცდიათ ალბათ, თუ რას ნიშნავს გაჭირვების დროს დახმარება. არ დაგვივიწყებიათ არც ის, რომ თქვენს გაჭირვებას ჩვენი სათვისტომო დახმარებით უპასუხებდა. მაგრამ რად გავიწყდებათ, რომ თუ ოდესმე ყოფილა მოსკოვში საჭირო ღარიბ ამხანაგებისადმი ხელის გაწოდება, მით უფრო უსაჭიროესია იგი დღეს, როდესაც მოსკოვის ცხოვრების სიძვირე ზღაპრულ თქმულებას უახლოვდება? რად გავიწყდებათ, რომ ნახევრად მშიერნი და ნახევრად გაყინულნი წევრნი დღეს უფრო მრავალი ჰყავს ჩვენს სათვისტომოს?!

არა, თქვენ ვერ იტყვით იმას, რომ მათ დახმარება არ უნდოდეთ!.. თქვენც სასიამოვნოდ დაგრჩებათ, თუ ჩვენი სათვისტომო მათ დროებით მაინც ცრემლს შეუშრობს!.. მაგრამ რით? რა გზით? —სათვისტომოს ქონება თითქმის სრულიად თქვენგანაა გატანილი; თქვენ ხელშია იგი და დაბრუნებისთვის კი არ ზრუნავთ!

ამხანაგებო! შედით თქვენი გაჭირვებული ამხანაგების მდგომარეობაში და დაუბრუნეთ მათ სათვისტომოს ვალი, რომ მას შეძლება მიეცეს წევრების წინაშე პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა.

გამგეობა ამით აფრთხილებს მოვალეებს, რომ თუ იგინი ვალს არ დააბრუნებენ ერთი თვის განმავლობაში-დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა—ის იძულებული იქნება მიმართოს უკიდურეს საშუალებას და გამოაქვეყნოს მოვალეების ვინაობა გაზეთებში.

ნუ ანებებთ ამას!

— —

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Москва, Зацѣпа, д. 23, кв. 5. Ст.
Семену Батломовичу Гошадзе.

გამგეობის თავმჯდომარე [illegible]

წევრები { ს. გოგიძე.
მ. ცეკვაშვილი.
ი. სალაძე.

მდივანი გრ. მახვილაძე.

შემოწირულობა.

აკაკის ფონდის სასარგებლოთ მივიღეთ შემოწირულობა შემდეგი პირთაგან: ოლღა გორგაძისაგან 3 მ., პასიკო გორგაძისაგან 1 მ., ელენე მახარაძისაგან 1 მ., ეკატერინე გორგაძისაგან 3 მან., ნინო მელაშვილისაგან 1 მ., ალექსანდრა შარაბიძისაგან 1 მან., ნატალია ბერიძისაგან ათი შაური, ივლიტა კოსტავასაგან 1 მ., მარიამ დათეშიძისაგან 1 მან., მარიამ ჭყვანიძისაგან 2 მ., ელისაბედ დათეშიძისაგან ოთხი აბაზი, ნინო კალანდარიშვილისაგან ათი შაური, ევა კალანდარიშვილისაგან ათი შაური და ვასასი გვარჯალაძისაგან ათი შაური, სულ 16 მან. და ოთხი აბაზი.

აღნიშნული ფული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა.

ა. გორგაძე.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50 წ.
„	— ღამის	— 11 ს. 30 წ.
ბათომიდან	— დილის	— 10 ს. 5 წ.
„	— ღამის	— 2 ს. 23 წ.
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს. 38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს. 39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს. 55 წ.
„	— ღამის	— 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	— 10 ს. —
„	— დილის	— 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	— ნაშუადღ.	— 4 ს. 14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 40 წ.
„	— ნაშუადღ.	— 4 ს. 20 წ.

კოოპერატივების საყურადღებოთ

ვინაიდან სოფლის კოოპერატივებს არ შეუძლიათ ზოგიერთი წვრილმანი საქონელი გამოიწერონ პირდაპირ ადგილიდან, ე. ი., პირველი ხელიდან, ამისათვის ვაცნობებ კოოპერატივებს, რომ ჩემ სავაჭროში შეუძლიათ ყოველგვარი **საბაკალეინო საქონელი შეიძინონ საღავათიან ფასებში**, აგრეთვე შეუძლიათ გაიგონ ყოველივე ცნობა, როგორც საქონლის ფასებისა, აგრეთვე ფირმებისა; ამასთანავე თანაგრძნობით გავუწევთ ყოველგვარ დახმარებას რითაც კი შეგვეძლება.

5—1 დათიკო ძიბაძე.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იზომება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან